N	სამინისტროს შენიშვნა	პასუხი
1	სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალაღება დაგეგმილია მდ. ყვირილადან, თუმცა წარმოდგენილი წყალაღების კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით წყალაღების წერტილი ემთხვევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (ს/კ 33.05.37.355) მიწის ნაკვეთზე მდებარე ტბორს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;	ობიექტის წყალმომარაგება ხდება მდ. ყვირილას სანაპიროზე მოწყობილი გუბურადან. სატუმბი სადგური და გუბურა მოწყობილია წლების წინ, წყალმიმღების დატბორვისაგან დაცვის მიზნით გუბურასა და მდ. ყვირილას აქტიურ კალაპოტს შორის მოწყობილია 1 მ. სიგანის ყრილი. სატუმბი სადგურისა და საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე წლების წინ განთავსებული იყო ქვიშა-ხრეშის კარიერი და სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, წყალმიმღები მოწყობილია იმ პერიოდიდან. ამჟამად ტერიტორია დარეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებაში (საკ. კოდი 33.05.37.355), თუმცა ფაქტიურად მისი სამხრეთ ნაწილი წარმოადგენს მდ. ყვირილას კალაპოტს. აღნიშნული ინფორმაცია დამატებულია სკრინინგის განაცხადში (თავი 5.)
2	სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საწარმოს წყალმომარაგების შესახებ, ასევე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;	ინფორმაცია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საწარმოს წყალმომარაგებისა და სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ დამატებულია სკრინინგის განაცხადში (თავი 5.).
3	სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ავტოგასამართი მოედნის გადახურვის და მობეტონების, საწვავის მიღების, ავზში ჩატვირთვის და ავტოტრანსპორტის გამართვის შესახებ ინფორმაცია და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი;	დიზელის გასამართი პუნქტის შესახებ ინფორმაცია დამატებულია სკრინინგის განაცხადში (თავი 4), შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებსი მართვის საკითხი შეტანილია ქვეთავში 6.11.
4	ინფორმაცია ნავთობპროდუქტების რეზერვუარის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;	ნავთობპროდუქტების რეზერვუარის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ მოცემულია თავში 4.

5	სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილი და მიმდინარეობს მათი გამართვის სამუშაოები, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;	ინფორმაცია საწარმოს მოსაწყობად საჭირო სამუშაოების შესახებ დამატებულია თავი 4.-ში.
6	ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;	ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 6.6.